საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ანდრაპი

ანდრაპი, ისტორიული სოფელი წალკის მუნიციპალიტეტში, მდ. ქციის მარჯვ. ნაპირზე, ისტ. თრიალეთში. ახლანდ. სოფ. საყდრიონში.

სოფელში თვალსაჩინო ადგილებზე დგას ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლები – სხვადასხვა სიდიდისა და სახის 7 დარბაზული ეკლესია. ზოგი კარგადაა შემონახული, ზოგი - დანგრეულია. ყველაზე დიდი ეკლესიის ირგვლივ ძვ. ქართ. სასაფლაოს ნაშთია, სადაც დღემდეა შემონახული 2 ქვის ცხენი და საფლავის ქვა, რ-ზედაც გუთნეულია გამოსახული. ქართ. წარწერა შემორჩა მხოლოდ ერთ, სოფლის თავში აღმართულ პატარა, გეგმით ოთხკუთხა ეკლესიას. იგი მოპირკეთებულია სუფთად გათლილი ალგეთის ქვით, კამარა გადახურულია ლორფინებით. საკურთხეველში ორი ღრმა ნიშია, რ-ებიდანაც შეიძლება მოხვედრა სამალავსა და სახურავზე. აღმ. სარკმელი შემკულია ლამაზი ჩუქურთმით, შესასვლელი სამხრ-იდანაა.

კარისთავის დიდ ქვაზე ამოკვეთილ ხუცურ წარწერაში მოხსენიებულია მიქელ კათალიკოსი (ამოიკითხა ექვთიმე თაყაიშვილმა), იგი ისტ. პიროვნებაა და XV ს-ში მოღვაწეობდა. სოფელში შემორჩენილია აგრეთვე დიდი, გეგმით ოთხკუთხა ორსართულიანი ნაგებობის ნაშთი, სავარაუდოა, რომ ეს ერისთავთა სასახლე იყო.

ლიტ.: ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი თ., თრიალეთი, თბ., 1976; Т а к а й ш в и л и Е. С., Археологические экскурсии, разыскания и заметки, в. 4, Тфл., 1913.

დ. ბერძენიშვილი